ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 12 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი);

3. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი);

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვთა დაცვის უფლებებისა და მხარდაჭერის განყოფილების ანგარიშის მოსმენა 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ .

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა (მარტი - აპრილი);

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი-ივნისი)

7. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ჯანდაცვის დაწესებულებების ინფორმაციის მოსმენა ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ (მაისი - ივნისი);

8. ინფორმაციის მოსმენა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ (ივლისი - აგვისტო);

9. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ინფორმაციის მოსმენა 2024 წელს მიმდინარე მუშაობის შესახებ (წლის განმავლობაში);

10. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენა მუნიციპალიტეტში არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ (წლის განმავლობაში);

11. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ინფორმაციის მოსმენა მიმდინარე მუშაობის შესახებ (წლის განმავლობაში);

12. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

13. 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი-დეკემბერი);

14. 2025 წლის სოციალური პროგრამების პროექტების განხილვა (ნოემბერი-დეკემბერი);

15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2024 წლის განმავლობაში ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მიერ ჩატარებული არის 12 სხდომა, ყველა სხდომა იყო რიგითი. განხილულია 12 საკითხი, ინფორმაციის სახით განხილულია 6 საკითხი, დაწერილია 1 ბრძანება, 2 დადგენილება და მოსმენილია 3 ანგარიში.